ISSN 1512-1801

მორალური იდენტობა, როგორც მორალური ქცევის აუცილებელი პირობა

კვიციანი მარიამ[1], მესტვირიშვილი მაია[2], ქამუშაძე თამარ[3], ფანჯიკიძე მარიამ[4]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ბ 0179 თბილისი, საქართველო[1,2,3,4]

"I fully subscribe to the judgment of those writers who maintain that
all the differences between man and the lower animals
the moral sense or conscience is by far the most important"

"*The descent of man, and Selection in Relation to Sex"* Darwin (1871)

რატომ იქცევიან ადამიანები მორალურად? რა განაპირობებს ინდივიდუალურ განსხვავებებს ადამიანების ქცევაში? მრავალი წლის მანძილზე ადამიანის მორალური ქცევა განიხილებოდა, როგორც რიგ საკითხებზე მათივე მსჯელობის შედეგი, თუმცა ადამიანების მსჯელობა მორალურ საკითხებზე ხშირ შემთხვევაში არ მოიაზრებს შესაბამისი ქცევის განხორციელებას. მორალის ფსიქოლოგიის დიდი ნაწილი სწორედ მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის განსვლაზე ფოკუსირებს და ცდილობს სხვადასხვა მექანიზმით ახსნას მათ შორის კავშირი. სტატია მიმოიხილავს მორალურ ქვევასთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს და განიხილავს მორალურ იდენტობას, როგორც ერთ-ერთ მთავარ დამაკავშირებელ რგოლს მორალურ მსჯელობასა და ქცევას შორის.

საკვანძო სიტყვები: მორალური მსჯელობა, მორალური იდენტობა, მორალური იდენტობის ცენტრალურობა, მორალური ქცევა

მორალი წარმოადგენს კულტურის მიერ დადგენილ ნორმებს იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და არასწორი, კარგი და ცუდი, მისაღები და მიუღებელი საზოგადოებისთვის (Turner 2010; Turner and Stets 2006). შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, თუ რა საწყისები აქვს ადამიანის მორალურობას და რა ფუნქციის შემსრულებელია ის, თანდაყოლილია თუ შეძენილი. ევოლუციური თეორიის მიხედვით, ადამიანის მორალურობის საფუძველი პირველადი ემოციური რეაქციებიდან მომდინარეობს (ემპათია ტანჯვაზე, გაბრაზება წინააღმდეგობაზე და ა.შ.), რომელიც ადამიანის გადარჩენას უწყობდა ხელს (Hauser, 2006). მორალის სოციოლოგია ხაზს უსვამს მორალის ფუნქციას, რომელიც აერთიანებს ადამიანებს წესების და მოლოდინების საერთო სისტემის გარშემო (Durkheim, 1965). დურკჰეიმი (Durkheim, 1961), აღნიშნავს, რომ საზოგადოების არსებობა შეუძლებელია მორალური სისტემის არსებობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები იმოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი, ინდივიდუალური ინტერესის საფუძველზე და უარყოფდნენ კოლექტიურ ინტერესს. მსგავსად, მრავალი დისციპლინა თუ თეორიული ჩარჩო არსებობს, რომელიც მორალური პროცესების მნიშვნელობას მაკრო დონეზე განიხილავს და საუბრობს სოციალურ კეთილდღეობაში მის მნიშვნელობაზე, თუმცა ეს თეორიები ნაკლებად გვაძლევს ინფორმაციას ინდივიდუალურ განსხვავებებზე და ქცევის

ISSN 1512-1801

მოტივებზე.მორალის ფსიქოლოგია ცდილობს ახსნას რატომ იქცევიან ადამიანები ისე როგორც იქცევიან, რატომ იქცევა ზოგი უფრო მორალურად ვიდრე სხვა? რით განსხვავდებიან ეს ადამიანები ერთმანეთისგან და რა აიძულებთ მათ ამა თუ იმ სიტუაციაში განსხვავებულად მოქცევას.

მორალის გაგებისას ათწლეულების მანძილზე დომინირებდა რაციონალური და ობიექტური მიდგომები, რომლის მიხედვითაც, მორალური მსჯელობები, ანუ წარმოდგენები სწორი და არასწორის შესახებ იყო მხოლოდ რაციონალური განჯის სფეროში. სხვა სიტყვებით, ადამიანს, მისი რაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლია გათვალოს წაგება-მოგება, იწინასწარმეტყველოს ქცევის შედეგები და იმსჯელოს კაუზალურად, მას შეუძლია ქცევის სისწორე-სიმცდარის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ეს ბუნებრივია არ რჩება მხოლოდ ფსიქოლოგიის სფეროში, და ბევრი ფილოსოფოსი თუ სოციოლოგი მორალურობას განიხილავს, როგორც რაციონალურ გადაწყვეტილებას ადამიანური პირადი კეთილდღეობის შესახებ.

რაციონალური მიდგომების მაგალითად, მორალური განვითარების თეორიები ცდილობენ აჩვენონ ის, რომ ადამიანი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულად მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას მორალურ საკითხებზე. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის (Piaget, 1965), ხოლო მოგვიანებით კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის (Kohlberg, 1981) მიხედვით, მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანი უფრო მეტად იღებს მორალურ გადაწყვეტილებებს და შესაბამისად ახორციელებს მორალურ ქცევას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მორალური განვითარების თეორიები ბევრი წლის მანძილზე დომინანტური იყო მორალური ქცევის გაგებისას, ემპირიულმა კვლევებმა არ დაადასტურა მორალური განვითარების და მორალური ქცევის კავშირი, რაც გულისხმობდა იმას, რომ მსჯელობასა და ქცევას შორის არსებობს განსვლა და მორალური ქცევის წინასწარმეტყველებისას აუცილებელია სხვა ფაქტორის გათვალისწინება (Blasi, 1980).

ამის საპირისპიროდ, ჩნდება თეორიები, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ობიექტურ მორალურობას და ადგილს არ უტოვებს აგენტობის რაციონალურობას (Moshman, 2008). მათ შორის პერსონოლოგიური, იდენტობის (Campbell & Christopher, 1996; MacIntyre, 1981, 1988; Narvaez & Lapsley, 2009; Sandel, 2009), პრაგმატული (Krebs, 2008; Krebs & Denton, 2005); სოციალურ ინტუიციური თეორიები (Haidt, 2012; Haidt & Kesebir, 2010;).

ჩამოთვლილ ესე ვთქვათ არა ობიექტივისტურ თეორიებში ყველაზე ფართოდ განხილული და წარმოდგენილი არის ჰაიდტის სოციალუტ ინტუიტური თეორია (Haidt, 2012), რომელიც მორალურობას - სწორსა და არასწორს ნებისმიერ საკითხში - განიხილავს როგორც პრე-რაციონალურს, რაც დამოკიდებულია პიროვნულ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტზე. მსგავს, კონტექსტთან შესაბამისი შეხედულებით, მსჯელობა სწორსა და არასწორზე ვერ იქნება ვალიდური თუკი არ გავითვალისწინებთ „ვის მიმართ“, ან „როდის“ ან „რა გადმოსახედიდან“ იქნება ის მიმართული (Kane, 1994). ჯგუფის დონეზე, მორალურობა შეფასებულია კონკრეტულ

ISSN 1512-1801

იმ საზოგადოების წესებთან, ნორმებთან და საჭიროებებთან შესაბამისობაში, რომელი საზოგადოებაც ქმნის ღირებულებებს (Damon, 1977).

ჰაიდტი, მის თეორიაში ინტიუტურ საფუძვლებს განიხილავს მორალის საწყისად (Haidt, 2003). ის საუბრობს, რომ მხოლოდ რაციონალური მსჯელობა ვერ იქნება მორალური განსჯის საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ პირველადი ემოციური რეაქციები განაპირობებენ რაციონალურ მსჯელობათა იმ ჯაჭვს, რომლითაც ჩვენ ამა თუ იმ ქცევას მორალურად ვაფასებთ.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ინტუიციური თეორია საფუძვლიანად მიმოიხილავს მორალური მსჯელობის საწყისებს და რაციონალობა-აფექტურობას შორის კავშირს, როგორც აღვნიშნეთ, ემპირიული კვლევები მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის სუსტ კავშირზე მიგვითითებს. იმ მიზნით, რომ აეხსნათ არსებული განსვლა მსჯელობასა და ქცევას შორის, მკვლევრებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ მორალური ქცევის განხორციელებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად მორალურად მიაჩნია ადამიანს საკუთარი თავი და რამდენად ახლოს არის მისი პიროვნებისთვის ესა თუ ის მორალური მახასიათებელი. სწორედ აქ ჩნდება ტერმინი „მორალური სელფი“, იგივე „მორალური იდენტობა“ (Blasi 1984). მორალური იდენტობა განმარტებულია როგორც „ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია მორალურ პიროვნებად ყოფნა საკუთარი თავის განსაზღვრისას“ (Hardy & Carlo, 2011).

ზოგადად, საკუთარი თავის პოზიტიური ხედვა ყველა ადამიანისთვის აუცილებელი და სასურველი მდგომარეობაა. ეს სურვილი არ წაეყენება მხოლოდ საკუთარ თავს, როგორც წესი ადამიანებს უნდათ, რომ სხვებს მოსწონდეთ და „კარგ“ ადამიანად თვლიდნენ მას. იდენტობის თეორიის მიხედვით, იდენტობის ვერიფიკაცია (ქცევები, რომლებიც შეესაბამება და ადასტურებს მოცემულ იდენტობას), დადებით ემოციებს აღძრავს, ხოლო საწინააღმდეგო ქცევები - უარყოფითს (Burke and Stets 2009). სწორედ აქიდან გამომდინარეობდა დაშვება, რომ სწორედ მორალური იდენტობა აიძულებს ადამიანს ჩაერთოს მორალურ ქმედებებში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მორალური იდენტობა გარკვეული ხარისხით ყველა ადამიანის ნაწილია, აქაც შეიძლება იყოს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს იდენტობა პიროვნებისთვის.

მორალური იდენტობის დღესდღეობით ყველაზე სრულყოფილი სოციალურ-კოგნიტური კონცეფციის მიხედვით (Aquino & Reed, 2002b; Lapsley & Narváez, 2004a), პიროვნების მორალური იდენტობა შენახულია მეხსიერებაში, როგორც კომპლექსური ინფორმაციის სტრუქტურა მორალური ღირებულებების, მიზნების, მახასიათებლების, და ქცევითი სკრიპტების შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ ცოდნა შეძენილია ცხოვრებისეული გამოცდილებისგან, რაც განსხვავდება ინდივიდუალურად, შესაბამისად არსებობს განსხვავებები მორალური სელფ-სქემების მნიშვნელობასა და ცენტრალურობის მიხედვითაც. პიროვნებისთვის, ვისი თვით-კონცეფციისთვისაც მორალური იდენტობა უფრო ცენტრალურია, მორალურ ადამიანად ყოფნა გაცილებით უფრო თვითგანმსაზღვრელია ვიდრე სხვა იდენტობები (Blasi, 2004).

სოციალურ-კოგნიტური თეორიის პერსპექტივიდან, მორალური იდენტობის ფორმირების საფუძველი ხელმისაწვდომი სქემების შექმნა და მათი ურთიერთკავშირია

ISSN 1512-1801

(Lapsley & Narváez, 2004b). მორალური სქემები ისეთ პროტოტიპებს შეიცავს, როგორებიცაა წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს იყო მორალური პიროვნება, მორალურ ქცევასთან დაკავშირებული მოქმედების და მოვლენების სკრიპტები და შესაძლო სელფები. მოზარდებთან შედარებით ბავშვებს გაცილებით ნაკლები მორალური სქემა აქვთ, ხოლო არსებული სქემები შეიძლება ნაკლებად განვითარებული და ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაციის გადამუშავებისთვის. აქედან გამომდინარე მათი რეაქციები შესაძლოა ნაკლებად შესაფერისი და შედარებით ნელი იყოს (Narvaez & Lapsley, 2005). მოზარდებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გვიან მოზარდებს უფრო ზედმიწევნით და დეტალიზებულად შეუძლიათ მორალური ადამიანის აღწერა ვიდრე ადრეულ მოზარდებს, საიდანაც ავტორები ასკვნიან რომ მენტალური რეპრეზენტაციები მორალური პიროვნების შესახებ ზუსტად მიყვება განვითარების სტადიებს და კოგნიტური სიმწიფის და სოციალური დასწავლის თანადროულად ვითარდება (Hardy, Walker, Olsen, Skalski, & Basinger, 2011). მორალური პროტოტიპების შინაარსის და სტრუქტურის გარდა (Hardy et al., 2011), არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროტოტიპები სელფისთვის და კოგნიტურად რამდენად ხელმისაწვდომი (Aquino, Freeman, Reed, Lim, & Felps, 2009). სხვა სიტყვებით, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მორალური ადამიანის სოციალური იდენტობა (Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006), სწორედ ეს მნიშვნელოვნება უნდა განაპირობებდეს შემდეგ ინფორმაციის გადამუშავებისთვის აუცილებელ კოგნიტური სქემების ხელმისაწვდომობასაც (Bizer & Krosnick, 2001). ისევე როგორც სხვა სოციალური კოგნიციები, მაგ. ატიტუდები და ღირებულებები (Grolnick, Deci, & Ryan, 1997), მორალური პროტოტიების სელფისთვის მნიშვნელოვნებაც შესაძლოა ისეთი კონტექსტით იყოს წახალისებული ან შემზღუდავი, როგორიც მაგალითად ოჯახური გარემოა (Hardy, Bhattacharjee, Reed II, & Aquino, 2010). მეცნიერების ნაწილისთვის, მორალური პროტოტიპები მორალური იდენტობის ფორმაციის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს (Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006), მაშინ როდესაც მეორე ნაწილი საუბრობს, რომ მორალური იდენტობისთვის კრიტიკული სქემები მენტალური რეპრეზენტაციები და მორალური ქმედებებია (Lapsley &Narvaez, 2004; Reimer, 2003). მორალურ ქცევასთან დაკავშირებული სკრიპტები თუ მოვლენის რეპრეზენტაციები იმ სოციალური გამოცდილებების შედეგად ვითარდება, რომლებიც ბავშვებს აქვთ (მაგ. გასაჭირში მყოფი ადამიანის დახმარება ან მოხალისეობა) (Lapsley & Narvaez, 2004). მსგავსი მორალური ქმედებების ან მოვლენების რეპრეზენტაციების საშუალებით ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში ფორმირდება ქცევითი სკრიპტები, რაც შემდგომ ამ ქცევების ავტომატურობას განაპირობებს, ხოლო ამ ქცევების შეფასებითი და აფექტური ნაწილი მომავალში ადამიანებს ქცევის განხორციელების ან თავიდან არიდებისკენ უბიძგებს (Reimer, 2003). და ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორალური იდენტობის ჩამოყალიბებაში შესაძლო სელფებს დიდი მნიშვნელოვა აქვთ, მოზარდები იმის მიხედვით წარმართავენ ქცევას თუ როგორი ადამიანი უნდათ რო იყვნენ (იდეალური სელფი) ან როგორი ადამიანი არ უნდათ რო იყვნენ (მიუღებელი სელფი) (ideal, desired, or hoped-for self) (Markus & Nurius, 1986). ეს შესაძლო სელფები ერთგვარ სამიზნე მდგომარეობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომლიკენაც ან ილტვიან ან ერიდებიან ადამიანები. აქიდან გამომდინარე, სოციალურ-კოგნიტური თეორიის მიხედვით მორალური იდენტობის ფორმირება შესაძლოა ნაწილობრივ მორალური შინაარსის მქონე შესაძლო სელფების

ISSN 1512-1801

კონსტრუირებით იყოს განპირობებული. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით თუ რამდენად ემთხვევა ადამიანის მენტალური რეპრეზენტაციები მორალურ ადამიანსა და იმ მის იდეალურ სელფს.

მიუხედავად მორალური სელფის მნიშვნელობისა, არსებობს განსხვავებული მიდგომაც, რომელიც მორალურ იდენტობასა და მორალურ ქცევას შორის კავშირს ასუსტებს. ბატსონმა და კოლეგებმა სხვადასხვა ექსპერიმენტის შედეგად აჩვენეს, რომ ადამიანები უფრო მეტად არიან ორიენტირებულები იმაზე, რომ შეინარჩუნონ მორალური იმიჯი, ვიდრე იმაზე რომ უშუალოდ მორალური ქცევა განახორციელონ (Batson, Thompson, & Chen, 2002; Batson, Thompson, Seuferling, Whitney, & Strongman, 1999). სხვა სიტყვებით, ადამიანებს სურთ რომ შეინარჩუნონ მორალური პიროვნების იმიჯი შესაბამისი ქცევის განხორციელების გარეშე. ამ მოსაზრებას აგრეთვე მხარს უჭერს მორალური ლიცენზირების (moral licensing) თეორია (Sachdeva, Iliev, & Medin, 2009), რომლის მიხედვითაც, თუკი ადამიანი წარსულში (ცოტა ხნით ადრე) მოიქცევა საკუთარი მორალური იდენტობის შესაბამისად (მორალურად) , ის საკუთარ თავს „უფლებას აძლევს“ აღარ მოიქცეს მორალურად და მაინც შეინარჩუნოს საკუთარ თავზე დადებითი წარმოდგენა.

მორალური იდენტობის და მორალური ქცევის კავშირის დასადგენად ავტორებმა (Hertz & Krettenauer, 2016) გაანალიზეს ამ 111 კვლევა, სადაც ერთი მხრივ გაანალიზებული იყო როგორც თვითადმინისტირებადი პასუხები აგრეთვე დაკვირვებადი ქცევები. მეტა-ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ მორალურ იდენტობასა და მორალურ ქცევას შორის ნამდვილად არის დადებითი კავშირი, თუმცა მორალური იდენტობის პრედიქტორული ძალა ქცევის წინასწარმეტყველებისას შედარებით სუსტია. კვლევების გაანალიზებამ აგრეთვე აჩვენა ის, რომ მორალური იდენტობა უკეთესი პრედიქტორია ზოგადად ქცევითი დისპოზიციებისთვის და არა ქცევებისთვის კონკრეტულ სიტუაციებში.

თუმცა ბუნებრივია, მხოლოდ არსებული კვლევების მიმოხილვა არ არის სრულყოფილი პასუხი კითხვაზე, თუ რა განაპირობებს მორალურ ქცევას და რა შემთხვევაში ერთვებიან ადამიანები მორალურ ქცევაში. მიუხედავად იმისა, რომ მორალური იდენტობა მორალურ ქცევას წინასწარმეტყველებს, ავტორები მიიჩნევენ (Hertz & Krettenauer, 2016) რომ აუცილებელია მორალური მსჯელობის და მორალური ემოციების გათვალისწინება და არ შეიძლება რომელიმე მათგანისთვის ცალსახად პრიორიტეტის მინიჭება. ნაცვლად ამისა, მორალური იდენტობა უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო კონცეპტუალურ ჩარჩოში, სადაც მორალური ქცევისას პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები იქნება გათვალისწინებული. მსგავსი მიდგომა აქტიურად გამოიყენება კვლევებში, სადაც მორალური იდენტობის მოდერაციულ და მედიაციურ როლზეა ყურადღება გამახვილებული და განხილულია, როგორც მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც განსხვავებული მოტივაციებისგან და მიზნებისგან შეიძლება შედგებოდეს (Aquino, Reed II, Thau, & Freeman, 2007).

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის „პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები“ ფარგლებში [DP2016_16]

ISSN 1512-1801

გამოყენებული ლიტერატურა:

Aquino, K., Freeman, D., Reed, A., Lim, V. K. G., & Felps, W. Testing a social-cognitive model of moral behavior: The interactive influence of situations and moral identity centrality. *Journal of Personality and Social Psychology*, (2009) *97*(1), 123–141. https://doi.org/10.1037/a0015406

Aquino, K., & Reed, A. The self-importance of moral identity. *Journal of Personality and Social Psychology*, (2002a), *83*(6), 1423–1440. https://doi.org/10.1037/0022-3514.83.6.1423

Aquino, K., & Reed, A., II. The self-importance of moral identity. *Journal of Personality and Social Psychology*, (2002b), *83*(6), 1423–1440. https://doi.org/10.1037//0022-3514.83.6.1423

Aquino, K., Reed II, A., Thau, S., & Freeman, D. A grotesque and dark beauty: How moral identity and mechanisms of moral disengagement influence cognitive and emotional reactions to war. *Journal of Experimental Social Psychology*, (2007), *43*(3), 385–392. https://doi.org/10.1016/j.jesp.2006.05.013

Batson, C. D., Thompson, E. R., & Chen, H. Moral hypocrisy: Addressing some alternatives. *Journal of Personality and Social Psychology*, (2002), *83*(2), 330–339. https://doi.org/10.1037/0022-3514.83.2.330

Batson, C. D., Thompson, E. R., Seuferling, G., Whitney, H., & Strongman, J. A. *Moral Hypocrisy: Appearing Moral to Oneself Without Being So*. (1999), 13.

Bizer, G. Y., & Krosnick, J. A. Exploring the structure of strength-related attitude features: The relation between attitude importance and attitude accessibility. *Journal of Personality and Social Psychology*, (2001), *81*(4), 566–586. https://doi.org/10.1037/0022-3514.81.4.566

Blasi, A. Bridging moral cognition and moral action: A critical review of the literature. *Psychological Bulletin*, (1980), *88*(1), 1–45. https://doi.org/10.1037/0033-2909.88.1.1

Hardy, S. A., Bhattacharjee, A., Reed II, A., & Aquino, K. Moral identity and psychological distance: The case of adolescent parental socialization. *Journal of Adolescence*, (2010), *33*(1), 111–123. https://doi.org/10.1016/j.adolescence.2009.04.008

Hardy, S. A., & Carlo, G. Moral Identity. In S. J. Schwartz, K. Luyckx, & V. L. Vignoles (Eds.), *Handbook of Identity Theory and Research* (2011), (pp. 495–513). https://doi.org/10.1007/978-1-4419-7988-9_19

Hardy, S. A., Walker, L. J., Olsen, J. A., Skalski, J. E., & Basinger, J. C. (2011). Adolescent naturalistic conceptions of moral maturity. *Social Development*, *20*(3), 562–586. https://doi.org/10.1111/j.1467-9507.2010.00590.x

Hertz, S. G., & Krettenauer, T. Does Moral Identity Effectively Predict Moral Behavior?: A Meta-Analysis. *Review of General Psychology*, (2016), *20*(2), 129–140. https://doi.org/10.1037/gpr0000062

Lapsley, D. K., & Narváez, D. (Eds.). *Moral development, self, and identity*. Mahwah, N.J: Lawrence Erlbaum Associates, (2004a).

Lapsley, D. K., & Narváez, D. (Eds.). *Moral development, self, and identity*. Mahwah, N.J: Lawrence Erlbaum Associates. (2004b).

Markus, H., & Nurius, P. Possible selves. *American Psychologist*, (1986), *41*(9), 954–969. https://doi.org/10.1037/0003-066X.41.9.954

ISSN 1512-1801

Reimer, K. Committed to caring: Transformation in adolescent moral identity. *Applied Developmental Science*, (2003), *7*(3), 129–137. https://doi.org/10.1207/S1532480XADS0703_3

Sachdeva, S., Iliev, R., & Medin, D. L. Sinning Saints and Saintly Sinners: The Paradox of Moral Self-Regulation. *Psychological Science*, (2009), *20*(4), 523–528. https://doi.org/10.1111/j.1467-9280.2009.02326.x

Turner, Jonathan H. Natural Selection and the Evolution of Morality in Human Societies. In S. Hitlin and S. Vaisey (Eds.), *Handbook of the Sociology of Morality,* New York: Springer. (2010), *(pp. 125–45)*.

Turner, Jonathan H. and Jan E. Stets. "Moral Emotions. *in Handbook of the Sociology of Emotions*, edited by J. E. Stets and J. H. Turner. New York: Springer., (2006), *(pp. 544–66).*

Article received 2019-12-03